ცნობის ფურცელი

№ 2490 კვირა, 9 მაისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2490

გაზეთი ღირს: წლიწად'ში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ქართული თეატრი

კვირას, 16 მაისს, 1904 წ. დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტის ვ. გუნიას მიერ სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება თავ. ა. სუმბათაშვილის ხუთ მოქმედებიანი დრამა-ლეგენდა

„ღალატი“

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ე. რომანიშვილი, ნ. თარხან-მოურავი, ს. ლომაურისა, ნ. კუმსიშვილი, ა. ივანიშვილი; ბ-ნი ა. ყანჩელი, ი. ზურაბიშვილი, ლეხურელი, ხურვალეძე, გ. ანანიაშვილი, კ. ხახანაშვილი, კაჭელი, ადამიძე, ლ. მგალობლიშვილი, ი. ზედგინიძე, ალ. ივანიშვილი, ა. ლორთქიფანიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ◆ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(7—1)

რეჟისორი ნ. ი. ალექსი-მესხიშვილი.

Feriencolonien. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი“-ს საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის,

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზე, ბორჯომის მახლობლად, მთა ადგილზე, ფიჭვნარში, 4,400 ფუტის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ქოჩის ცხებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო, ყოველგვარი ვარჯიშობა, წყლით ექიმობა და სხვა.

არ მიიღებიან მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელისამე მიზეზისა გამო მთა ადგილს ყოფნა არ არგებს.

ხანა: ორი თვე, 15 თიბათვიდან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებითი ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ან წერილობით შეიძლება მიჰმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისი, ნიკოლოზის ქ. № 46. (0—7)

ფოთის საქალაქო სამ-კლასიან პროგიმნაზიაში

მისაღები გამოცდა დანიშნულია მაისის 19—25 რიცხვებში. თხოვნასთან უნდა იქნეს მეტრიკული მოწმობა დაბადებისა და მონათვლისა. (ნ. 10—8)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. გ. მალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საშვებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. გონინი.—ქალისა, საშვებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მალალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—[illegible] საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № [illegible]3. (თვ.—0—81)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

კბილის ექიმი

დავით ს. რიჟინაშვილი

იღებს დილით 9—2 საათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. (30—2538—2)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

ქუთაისში

კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი

(აპორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—11)

ბავშვების ექიმი

ა. ი. ბალარჯიშვილი

მიიღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 10—12 ს. მიხეილის პროსპექტი ს. № 115 ნემცების კირკის გვერდზე. (30—178—8)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 მაისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მის უდიდებულესობის სახელზე ლიაოიანიდან გამოგზავნილი 6 მაისს: „5 მაისს ფინხუანჩენის ჩრდილოეთით, მთა-გორიან ადგილას, ყაზახთა რაზმს შეტაკება მოუხდა იაპონიის მოწინავე რაზმთან. ბრძოლა დაიწყო დილის 8 საათზე და გაგრძელდა ნაშუადღევის 2½ საათამდე, მოწინაღმდეგე ოთხის პოზიციიდან დასწიეს ყაზახებმა. მტრის დევნას ჩვენმა ჯარმა თავი მიანება დადიანძისთან, ფინხუანჩენის ჩრდილოეთით, 18 ვერსის მანძილზე. ჩვენ დაგვიჭრეს 6 ყაზახი. მოგვიკლეს ორი და დაგვიჭრეს 8 ცხენი. მტერი არ აღმოჩნდა მდ. პაოხეს ხეობაში ჩანგულინის უღელტეხილზე მიმავალ გზამდე (ფინხუანჩენის ჩრდილოეთით 25 ვერსის მანძილზე) და არც მდ. აიხეს ხეობაში. 4 მაისს კუანდიანსიანიდან საიმძისკენ წამოვიდა იაპონელთა ესკადრონი. ამ ესკადრონმა უკუ-აგდო ჩვენი მზვერავი რაზმი შასგოსთან, კუანდიანსიანიდან 15 ვერსის მანძილზე. ჩვენ რაზმს ზარალი არ მოსვლია. 2 მაისს შალიჯაიპუძის უახლოვდებოდა 2000 კაცისაგან შემდგარი იაპონიის ქვეითა ჯარი, მაგრამ სწრაფად მიტრიალდა და ფინხუანჩენისაკენვე გაბრუნდა. 3 მაისს ლოფელ შალიჯაიპუძიდან წავიდა იაპონიის ცხენოსანი რაზმი“.

მუკდენი, 7 მაისი (საკუთარის კორესპონდენტისაგან). სიმართლეს მოკლებულია ინგლისურ გაზეთების ცნობები იმის შესახებ, ვითომ ჩაიჩენის სამხრეთით იაპონელებს იერიში მიეტანოთ რუსის ჯარზე და 2000 რუსი მოეკლათ. ამბავი მოვიდა, რომ იაპონელებმა განზრახვა ვერ განახორციელეს და პირველ მაისს კერრის ბუხტაში ჯარი ვერ გადასხეს. 3 მაისს კვანტუნის ჯარის რუსთა მოწინავე რაზმებზე სანშილიპუს მახლობლად იაპონელებმა იერიში მიიტანეს. იაპონელებს შესამჩნევი ზარალი მოუვიდათ, შეჩერდნენ და მხოლოდ ადგილები დაზვერეს. ჩვენმა რაზმმა დაიხია უკან, ძინჯოუსკენ.

პარიზი. როგორც იაპონიის ელჩმა განაცხადა, ადმირალ ტოგოს უცნობებია: როდესაც ჯავშნიანი გემი „ხატცუსე“ იძირებოდა, მოახლოვდა რუსის ესკადრა, 16 ნაღმიან გემისაგან შემდგარი, მაგრამ იაპონიის ესკადრამ განდევნა იგი. კრეისერებმა გადაარჩინეს 300 კაცი „ხატცუსე“-დან, ადმირალი ნაშუდა და კაპიტანი პაკაო.

ლონდონი („რეიტერის სააგენტო“). იაპონიის მისსიამ გამოაქვეყნა ოფიციალური დეპეშა. ეს დეპეშა იუწყება ხანჯოუსთან 3 მაისს მომხდარ ბრძოლის შესახებ. ბრძოლაში რუსების მხრივ მონაწილეობა მიუღია ბრძოლელთა მე-5 მე-14 და მე-16 პოლკებს, რომელთაც 8 ზარბაზანი ჰქონიათ.

ვლადივოსტოკი. ვლადივოსტოკში სიწყნარეა. პეტრეს ყურეში დროგამოშვებით ჩნდებიან მტრის გემები, მაგრამ ვლადივოსტოკს ვერ უახლოვდებიან.

8 მაისი

პეტერბურგი. ნამესტნიკის დეპეშა, მის უმაღლესობის გენერალ-ადმირალის სახელზე გაგზავნილი 7 მაისს: „6 მაისს, ღამე, მივიღეთ ფოსტით კონტრ-ადმირალის ვიტგეფტისაგან შემდეგი მოხსენება: „2 მაისს, დილით გამოჩნდა აღმოსავლეთით მტრის სამი ჯავშნიანი გემი და სამი კრეისერი. ლიაოტეშანიდან და ზოლოტოი გორიდან თვალყურს ადევნებდნენ იმათ მოძრაობას. მტრის გემებმა გაიარეს პორტ-არტურის წინ, მიბრუნდნენ აღმოსავლეთისაკენ და ეტყობოდათ, უნდოდათ სხვა რიგად დარაზმულიყვნენ. ამ დროს დავინახეთ, როგორ იფეთქა ნაღმმა მესამე ჯავშნიან გემის ცხვირის ქვეშ. ეს გემი ორ საკვამლიანი იყო, „ფუჯის“ ტიპისა. ჯავშნიანი გემი გაჩერდა, მარჯვენა გვერდზე გადიხარა, წინა ნაწილი დაბლა დაუშვა და ბლომად ამოუშვა ორთქლი. დაუყოვნებლივ მიუახლოვდა ორი კრეისერი. ზოლოტოი გორიდან დაინახეს, რომ იმათ ნავები ჩაუშვეს წყალში. მარჯვნით გადახრილი ჯავშნიანი გემი ნელნელა გასწორდა, ეტყობოდა, რაღაც მოუხერხა აფეთქებისაგან მომხდარ ნაკლს. ამ დროს მეორე ჯავშნიანი გემი, სამ საკვამლიან „შიკიშიმას“ ტიპისა, მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც აფეთქება მოხდა და იმის შუა ნაწილის ქვეშ ნაღმმა იფეთქა; შემდეგ კიდევ იფეთქა და ეს აფეთქება ჯავშნიან გემის „პეტროპავლოვსკის“ აფეთქებას ჰგავდა. ერთი წამის შემდეგ გემი ჩაიძირა, მესამე ჯავშნიანი გემი ზღვაში წავიდა. კრეისერები დარჩნენ იმ ადგილას, სადაც აფეთქება მოხდა. გავგზავნე 16 ნაღმიანი გემი მტრის შესავიწროვებლად და, თუ მარჯვე დრო იქნებოდა, ცალკე გემებზე იერიშის მისატანად. კრეისერი „ნოვიკი“ ნავთსადგურის გასავალში დადგა და მომზადდა ნაღმიან გემების დასახმარებლად; კრეისერებიც წასასვლელად ემზადებოდნენ. ამ დროს ზღვიდან მოგვიახლოვდა იაპონელთა ხუთი კრეისერი და ყველა დიდ ზარბაზნებიდან დაუშინა ნაღმიან გემებს ყუმბარები. ნაღმიან გემებს ზარალი არ მოსვლიათ და დაბრუნდნენ ნავთსადგურში. დაზარალებული ჯავშნიანი გემი თავის კრეისერებით ისე შორს წავიდა, რომ აღარ სჩანდა. იმათ იფარავდა ახალ მოსულ გემების რაზმი. ღამე ქარი ამოვარდა და ზღვა ღელავდა. 3 მაისს, დილით, იმ ადგილს, სადაც აფეთქება მოხდა, მტრის სამი ნაღმიანი გემი მიუახლოვდა. იმათ წინააღმდეგ გავგზავნე „ნოვიკი“ და მტრის გემები ზღვაში წავიდნენ. კერბეიში აფეთქებულ გემს საკვამლეებზე და ანძების მოწყობილებაზე ეტყობოდა, რომ კრეისერი იყო. ნაპირიდან გვაუწყებენ, რომ მტერმა მოიწადინა კერბეიში ჯარის გადასხმა. და იმის სამ ნაღმიან გემს, რომელნიც გადასაყვან ჯარს იფარავდნენ, ჩვენმა მსუბუქმა არტილერიამ ზარალი მიაყენა.

მუკდენი (სპეციალური). ჯავშნიან გემს „ხატცუსე“-სა და კრეისერს „იოშინო“-ზე დაიღუპა 700 კაცზე მეტი.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). ოფიციალური ცნობა. იაპონიის ქვეითა ჯარის რაზმი, რომელიც ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე სტანჩუშნანისაკენ იყო გაგზავნილი დასაზვერავად, რუსეთის ჯარის ორ რაზმს შეხვდა. დატყვევებულმა რუსის ჯარის-კაცმა განაცხადა, რომ რუსეთის ჯარი ნახევარკუნძულზე, ცინჯოუს ქვემოდ, შესდგება მე-4 ქვეითა დივიზიის ნაწილისა და მთელ მე-7 დივიზიისაგანაო.—იტყობინებიან, რომ პორტ-არტურში არიან იაპონიის ფლოტის ერთი აფიცერი და 30 ჯარის-კაცი, რომელნიც დატყვევებულ იქმნენ პორტ-არტურთან უკანასკნელ ბრძოლის დროს, როცა ბრანდერები ჩასძირესო.

ჩიფუ („რეიტ. სააგ.“). იაპონიის წრეებიდან მოსული კერძო დეპეშა ამბობს, რომ „ხატცუსე“-სა და „იოშინო“-ს გარდა, 2 მაისს დალნისთან იაპონიის ორი გემი დაზიანდაო. რუსები ირწმუნებიან, რომ იაპონიას კიდევ ერთი გემი დაუზიანდა პორტ-არტურთანაო.—7 მაისს დილით პორტ-არტურის მხრიდან ზარბაზნების ხმა ისმოდა. პორტ-არტური უზრუნველყოფილია სურსათ-სანოვაგით.

ტიანძინი („რეიტ. სააგ.“). ხმა არის, რომ იაპონიის არმია, რომელიც მდ. იალუს ჩრდილოეთით დგას, დამარცხდა და ფინხუანჩენისაკენ დაიწიაო.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). ჯავშნიან გემ „ხატცუსე“-ზე დაიღუპა სამი კაპიტანი, 32 აფიცერი და უნტერ-აფიცერი; კრეისერ „იოშინო“-ზე დაიღუპა გემის უფროსი კაპიტანი, 30 აფიცერი და უნტერ-აფიცერი. რამდენი მატროსი დაიღუპა ჯერ არ იციან. „ხატცუსე“ ნაღმისაგან დაიღუპა და არა წყლის ქვეშ მავალ ნავისაგან. ხმა, ვითომ ჯავშნიანი გემი „შიკიშიმა“ დაზიანდა და „ფუჯი“ დაიღუპა, ტყუილია.

ნიუ-ჩუანი („რეიტ. სააგ.“). 3 მაისს ფინხუანჩენიდან აღმოსავლეთით 60 მილის მანძილზე იაპონელები შეხვდნენ რუსეთის ჯარს, 32 ათას კაცისაგან შემდგარს. ამ ჯარს ძლიერი პოზიცია უჭირავს. იაპონელებმა უკან დაიწიეს, ბრძოლა არ ყოფილა. ყაზახები ავიწროებდნენ იაპონელთა დივიზიის ფლანგებს, სანამ დივიზია იაპონიის მთავარ არმიას არ შეუერთდა. უკან დაწევის დროს იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

ტოკიო („რეიტ. სააგ“). ადმირალი ხოსოია იტყობინება, რომ მესამე ესკადრით, რომელიც ჯავშნიან გემისა, ორ საკანონირო ნავისა და რამდენისამე კრეისერისაგან შესდგებოდა, იფარავდა ჯარების გადასხმას ერთ ადგილას, რომელსაც არ ასახელებს, ალბათ დაგუშანთან. ჯერ ნაპირებს ზარბაზნები დაუშინა, შემდეგ, დილის 8 საათზე, მეზღვაურთ უბრძანა ნაპირზე გადასვლა და სიმაღლეების დაჭერა. ესენიც გადვიდნენ და მთაზე იაპონიის დროშა აღმართეს. იმ წამსვე დაიწყო ნაპირზე ჯარების გადასხმა.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). ადმირალი ტოგო, ესკადრის მთავარ-სარდლის ერთმოგვარე, იტყობინება, მას ებრძანა იერიში მიეტანა გაიჯოუზე (ლიაოდუნის ნახევარ

კუნძულის დასავლეთ ნაპირზე, ნიუ-ჩუანის სამხრეთით). ტოგო მივიდა პორტ-არტურთან „ხატცუსე“-ს დაღუპვის შემდეგ, როცა მეზღვაურთ შველოდნენ და როცა რუსეთის ნაღმიან გემების იერიში მოიგერიეს. იმავ საღამოს ტოგო პეჩილის ყურეში შევიდა და დაზვერა ადგილები ცინჯოუს მახლობლად. 3 მაისს უკან დააწევია რუსებს ტონშანის მთებიდან, ხოლო შემდეგ ცინჯოუს ბუხტაში შევიდა; 4 მაისს ზარბაზნები დაუშინა რკინის გზას, სამხედრო მატარებელს, რუსების შენობებს და ზარალი მიაყენა მტერს.

(ღამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ნიუ იორკ ჰერალდ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: რუსის მთავარ სარდალმა გენ.-ად. კუროპატკინმა ტიურენჩენთან ბრძოლის შემდეგ ამნაირი დეპეშა მისწერა თავის მეგობარს: „მომილოცეთ, იაპონელები იალუზე გადმოვიდნენ; ეხლა კი ხელიდან აღარ გავუშვებო“. („რ. ლ.“)

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: ამბობენ, იაპონიის ჯარის მთავარ-სარდალი გენერალი კოდამა მალე ბრძოლის ველზე წავაო. („რ.“).

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება ჩიფუდან: იაპონელები ეხლა უმთავრეს ყურადღებას პორტ-არტურს მიაქცევენო. („რ. ვ.“).

ამას წინად იაპონელები იუწყებოდნენ: პორტ-არტურში რუსები ყოველ დღე რაღაცას აფეთქებენ, მხოლოდ ვერ გავიგეთ რასაო. „პეტ. ცაიტუნგ“-ს შეუტყვია: „გენერალმა სტესელმა პორტ-არტურს ახლომახლო ყველაფერი, რაც-კი რუსებს სროლას დაუშლიდა და იაპონელებს საფარად გამოადგებოდა, ააფეთქებინაო. ამას გარდა, რუსებმა იაპონელების ჩაძირული ბრანდერებიც ააფეთქესო. ასე რომ იაპონელები სწორედ ამ აფეთქების ხმას გაიგებდნენო“. (რ. ლ.)

„მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტი იუწყება შანჰაიდან: „ლიაოიანს ახლო რუსებმა სანგრები გამართეს. ქალაქის ოთხსავე კარებთან ოთხ მწკრივად თხრილები გაავლეს; მოტენლინგის ხეობაში ფორტებს აშენებენ.“ („ბ. ვ.“)

გრაფი რევენტლოვი სწერს „ბერლინერ ტაგებლატ“-ში: გენ. კუროკი ხაიჩენისაკენ მიდის; ეს გზა გაცილებით სჯობს მატენლინგის მთისაკენ მიმავალ გზებს. ამ გზით კუროკი უფრო უვნებლადა და უზარალოდ მივა რუსის ჯარამდე. უნდა ვსთქვათ, რომ გენ. კუროკი საკვირველ მოსაზრებასა და სიფრთხილეს იჩენს თავის სამხედრო მოქმედებაში. („რ. ლ.“).

„მორნინგ პოსტ“-ი იუწყება: მუკდენში ხმა დადის, რუსებმა ამ ქალაქში ნაღმები ჩააწყეს და თუ ვინიცობაა უკან დახევა მოუხდებათ, მთელ ქალაქს ააფეთქებენო. მუკდენის სამხრეთით რუსებს 73 ათასი ჯარის-კაცი ჰყავთ. („რ.“).

ინგლისური გაზეთები სწერენ: მუკდენისაკენ გალაშქრების დროს იაპონელები სამს გზით ისარგებლებენ და ამ გზების წყალობით ზღვასთანა და თავიანთ ფლოტთან კავშირს არ შესწყვეტენ: 1. ლიაოდუნის ჩრდილოეთში გაყვანილ რკინის გზით და იმის ტოტით ინკოუმდე; 2. ლიაოდუნის ყურედან სინმინტინამდე გაყვანილ რკინის გზით; —სინმინტინიდან მუკდენამდე სულ 50 კილომეტრია; 3. თითონ მდინარე ლიაოთი. ამ მდინარით გემები თითქმის მუკდენამდე ადიან. ამიტომ მუკდენი მშვენიერი ბაზაა სამხედრო მოქმედებისათვის. თუ იაპონელები მუკდენს ხელში ჩაიგდებენ, მთელი მანჯურიის რკინის გზაც იმათი იქნება. თუ ვინიცობაა იაპონელებს უკან დახევა მოუხდებათ, ამ რკინის გზებს სულ ერთიანად დაანგრევენო. („რ. ლ.“).

ფრანგულ გაზეთების „ეკო დე პარი“-სა და „მატენ“-ის კორესპონდენტები იუწყებიან: 29 აპრილს რუსებმა, მთავარ-სარდლის ბრძანებით, ქალ. დალნიში სანაპირო ქუჩები, დოკები და ზღვაში ამოყვანილი კედლები დაანგრიეს, რომ იაპონელებმა დიდი საალყე ზარბაზნები ველარ გადაიტანონ დალნიშიო. („რ. ლ.“).

„მატენ“-ის კორესპონდენტი იუწყება ლონდონიდან: რუსეთის მთავრობამ პროტესტი გამოაცხადა იმის თაობაზე, რომ იაპონელ ჯარის-კაცებს სადგურ პულანდიანთან პორტ არტურიდან გამოსულ სასანიტარო მატარებლისათვის თოფები ესროლათ და ორი დაჭრილი კაცი ხელ-ახლად დაეჭრათ, თუმცა მატარებელზე წითელი ჯვრის ბაირაღი ყოფილიყო გაშლილი. იაპონიის საელჩო ლონდონში ამტკიცებს: იაპონელებმა სადგურ პულანდიანთან დაინახეს, რომ პორტ-არტურიდან მომავალ მატარებელს წითელ ჯვრის ბაირაღი არა ჰქონდა გაშლილიო. რუსის ჯარის-კაცებმა პირველად თითონ ესროლეს თოფი იაპონელებს და მერე „წითელ ჯვრის“ ბაირაღი გაშალესო. იაპონელებმა მაშინვე შესწყვიტეს თოფის სროლა და მატარებლისაკენ წავიდნენ, მაგრამ მატარებელმა სიარულს მოუმატა და მალე მოჰშორდა სადგურს. („რ. ლ.“)

ფრანგული გაზეთები იუწყებიან: იაპონელებს ახალ სისტემის ჰაეროსტატები (ჰაერში მფრინავი ბურთები) აქვთო; იაპონიის სამხედრო სამინისტრომ ჯერ კიდევ 1898 წელს 10 ჰაეროსტატი შეუკვეთა ბრისონესა და ამხანაგობის ქარხანას პარიზში. ამას გარდა იაპონიამ შარშან ინგლისში ამ ჰაეროსტატებისათვის საჭირო მასალა იყიდა და მანჩესტერში 8 ფეიქარი გაგზავნა ჰაეროსტატის ქსოვილის მომზადების შესასწავლადაო. („რ. ლ.“)

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტს მეკენზის 18 აპრილს ბრძოლის შემდეგ ტიურენჩენის მიდამოები დაუთვალიერებია. კორესპონდენტი სწერს: „აგერ იაპონელ ჯარისკაცს გვამსა ვხედავ, თვალები ცისკენ აუპყრია და გახსნილ მუნდირ ქვეშ გასისხლიანებული პერანგი უჩანს; გვერდზე ბილეთი გდია: ზედ ჯარის-კაცის სახელი და ნუმერი აწერია. აგერ იქით საავადმყოფოს მოსამსახურენი იარებს უხვევენ ჯარის-კაცებს; დაჭრილნი გმირულად, დინჯად იტანენ ტანჯვას. აგერ რუსის სალდათი წევს მძიმედ დაჭრილი. უკანასკნელ დღეშია, ტუჩები უკრთის: ეტყობა, ლოცულობს. ორიოდე ნაბიჯს იქით რუსის ფეხ-მოწყვეტილი აფიცერი წევს. უნდა ვსთქვა, რომ იაპონელები კარგად უვლიან დაჭრილ რუსებს. ჯერ დაჭრილ რუსებს ჰშველიან, მერე თავიანთსას. ტყვე-რუსებსაც მეტად კარგად და ზრდილობიანად ექცევიან იაპონელები, —ისე უყურებენ, როგორც სტუმრებს“. („რ. ს.“).

„კელნიშე ცაიტუნგ“-ს სწერენ ტოკიოდან: ამ ორის თვის წინად იაპონიის პარლამენტის საგანგებო კრებამ ომში დაჭრილ მეომართა ოჯახებს პენსიები მოუმატა, ასე რომ ჯარის კაცებს თავიანთ ცოლ-შვილის დარდი მაინც აღარ ექმნებათ. მთავრობამა და პარლამენტმა ერთმანეთის თანხმობით კომისია დანიშნეს და დაავალეს, სამხედრო ხარჯებს მუდამ კონტროლი გაუწიეო. („რ. ვ.“).

შანჰაიდან ატყობინებენ „პეტერბურგის ვედომოსტი“-ს: რამწამს ომი დაიწყო, რუსის სავაჭრო გემები დაიჭირეს, 9 გემი სასებოს ნავთ-სადგურში წაიყვანეს, 3 იოკასუკოში. მარტის დამდეგს იაპონელებმა ამ გემების მეზღვაურები, კაპიტნებსა, იმათ თანაშემწეებსა და მექანიკებს გარდა, იაპონელებმა სულ გაანთავისუფლეს. 300 რუსის მატროსი იაპონიიდან ნეიტრალურ შანხაის ნავთ-სადგურში მოვიდა. თუმცა რუსის დაწესებულებათა ადმინისტრაციამ შანხაიში წინადვე იცოდა ამდენ ხალხის მოსვლის დღე, მაინც არც ტყვეებს დახვდა, არც ბინები დაუმზადა. როგორც ჩვენ (რუსებს) ჩვეულებადა გვაქვს, ბინების ძებნას რუსის ადმინისტრაცია იმ დღეს შეუდგა, როცა მეზღვაურები გემით შანჰაიში მოვიდნენ. კაი რამ შემთხვევით ფრანგებს თავიანთ სამხედრო საზაფხულო სახლები ცარიელი ჰქონდათ. რუსის ადმინისტრაციამაც სწორედ ეს ხის სახლები დაიქირავა ტყვედ ნამყოფებისათვის. იმ დროს მეტად ცუდი ამინდი იდგა შანხაიში და მუდამ წვიმა მოდიოდა. უბედურმა რუსის მატროსებმა სრული სამი კვირა გაატარეს ამ საზაფხულო სარაებში. როგორ დაბინავდა ეს ხალხი, ან რით იკვებებოდა, ამაზე არც რუსის კონსულმა იცოდა რამე, არც რუსის ნავოსნობის აგენტმა, თუმცა ტყვედ ნამყოფების ბედი ამ აგენტს ჰქონდა მინდობილი. ვერც კი წარმოიდგენთ, რა საცოდავად ცხოვრობდნენ, რა საცოდავ ყოფაში იყვნენ რუსის მეზღვაურები; ერთს ოთხ კვადრატიულ საჟენიან ოთახში 18-20 კაცი იყო ერთად შეყრილი; ქვეშსაგები არა ჰქონდათ-რა და პირ-და-პირ იატაკზე ეყარნენ; ოთახი საშინლად გაყინული, ნესტიანი იყო; ყველა მხრიდან, იატაკიდან, თუ კედლებიდან სიცივე შემოდიოდა. საჭმელიც ამის შესაფერი ეძლეოდათ: უმარილო წყალში მოხარშულ კომბოსტოს ფოთლებს აქმევდნენ; ეგ-კია ამ უმარილო წყალში მოსაჩვენებლად ორიოდე ნაჭერ ქონს ჩააგდებდნენ ხოლმე. მატროსებს რომ საკუთარ ფულით არ ეყიდნათ საჭმელი, ეჭვი არაა, ბევრს მათგანს სახადი იმსხვერპლებდა. ვინ მოელოდა, რომ რუსის ადმინისტრატორები ამისთანა გაჭირვების დროს ასეთ გულქვაობას გამოიჩენდნენ. ორჯელ ვიყავ ამ მატროსების სანახავად და შემდეგი სიტყვები გავიგონე. ყველანი ერთის ხმით ამბობდნენ: „იაპონელები—ჩვენი მტრები არიან, მაგრამ ნეტავი ჩვენი კაპიტნებიც იმათსავით მტრულად გვექცეოდნენ. იაპონელები ისეთს კარგს პატივს გვაძლევდნენ და ისე კარგად გვექცეოდნენ, რომ მუდამ მადლიერები ვიყავით იმათიო“. („პ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ **გუბერნატორმა**, თავის მიწერილობის თანახმად, ტფილისის ქალაქის მოურავისაგან მიიღო ცნობები **ელექტრონის ტრამვაის გამართვის** და ახალ ლიანდაგის დაგებისა, ელექტრონის განათების მოწყობისა, გაუმჯობესებულ მოკირწვლისა და სხვათა შესახებ. მოურავი სწერს: ელექტრონის ტრამვაის გამართვას უსახელო საზოგადოება უკვე შეუდგა. მიხეილის პროსპექტსა და ელისაბედის ქუჩაზე ლიანდაგი უკვე დააგეს. შეუდგნენ აგრეთვე სადგურის აგებას. ელექტრონის განათების საქმის მოსაწყობად გამგეობა ამ ჟამად ეძებს სადგურის ასაგებ ადგილს. იმ კომისიის აზრს, რომელსაც ეს საქმე ებარა, საბჭო ამ დღეებში მოისმენს. ის კომისია, რომელსაც გაუმჯობესებული მოკირწვლა აბარია, ჯერ ვერ მოქმედობს, რადგან ელის სტამბოლიდან გამოწერილ ქვას, იმას მიღების შემდეგ კომისია შეუდ-

---

ფელეტონი

პატარა ამბები

მშვიდობიანობის დამცველი „საქმეები“.
—მეტი სასტიკობა გვიხსნის? სიკვდილისაგან, თუ სიცოცხლისაგან?

პერმის მომრიგებელ მოსამართლესთან ამ დღეებში გაირჩა ერთი საყურადღებო საქმე. დიდ ხუთშაბათს საღამოს ეკლესიაში მიდიოდა ქ-ნი ს—ისა თავის ძმით და იესოს წამების შესახებ ლაპარაკობდნენ. მათის ლაპარაკის ზოგიერთი სიტყვა არ მოეწონა ვინმე უცნობ პირს, რომელიც მათ წინ მიდიოდა. უცნობმა პოლიციელს უბრძანა ს—ის და მისი ძმის დატუსაღება. პოლიციელი დაუყოვნებლივ მივიდა მათთან და უთხრა, პოლიციაში წამოდითო. ისინი ნებაყოფლობით არ წავიდნენ, რადგან სრულიად უდანაშაულოდ ცნობდნენ თავიანთ თავს, მაგრამ მაინც ძალად წაიყვანეს პოლიციაში, სადაც მათ შეუდგინეს პროტოკოლი, ვითომც წინააღმდეგობა გაეწიოსთ მთავრობისათვის.

საქმის გარჩევის დროს უცნობი პირი არ გამოცხადებულა და არც მისი ვინაობა გაუგიათ. პოლიციელმა განაცხადა „გამოუცდელობისა“ გამო დავატუსაღე ქ. ს—ისა და მისი ძმაო. მოსამართლე მალე დარწმუნდა, თუ რამდენად ახირებული იყო პოლიციის მიერ „შექმნილი“ საქმე და დაუყოვნებლივ გაამართლა „ბრალდებულნი“ ქ. ს—ისა და მისი ძმა.

ამისთანა „საქმეები“ ჩვენშიაც არაა იშვიათი. აი, მაგალითად, რას იწერებიან ფოთიდან: მეეტლე ურია აბრამ დილიაშვილი შევიდა სადილის საჭმელად დუქანში. ეტლი გარედ გააჩერა. გავიდა ცოტა ხანი, დუქანში მოვიდა ერთი პოლიციელი და მიმართა მეეტლეს: რა ნება გაქვს, რომ ეტლი გარედ გააჩერე და აქ პურის საჭმელად შემოხვედიო. მეეტლემ გაიკვირვა, რას ამბობ, კაცო, პურის ჭამის ნებას არ მაძლევ, ჩემის ნაოფლარის ფულით არ ვისადილოო? პოლიციელმა ბევრი აღარ აცალა, ჩასვა ეტლში ურია და პოლიციაში წაიყვანა. მეეტლე არ დანებდა, მოუვიდათ ჩხუბი. პოლიციელმა ხმლით მიიწია მეეტლესაკენ, მაგრამ იმან თავს უშველა. ურიას შემდეგ მისი ბიძა წამოექომაგა, ეს არ იამა პოლიციელს და რევოლვერით თავი გაუტეხა საბრალო მოხუცს.

„მშვიდობიანობის დაცვაც ამას ჰქვიანო!“ მწარედ ამბობს კორესპონდენტი. ოღონდაც! კიდევ ერთი მაგალითი: ყვირილაში საქველმოქმედო „საღამო“ იყო გამართული, რომელზედაც მოვიდა, სხვათა შორის, ერთი უბრალო ხელოსანი. ხელოსანმაც იმდენივე და იმგვარივე ფული გადაიხადა, როგორც სხვა ყველა დამსწრემ, მაგრამ სასტიკი მუქარა და საყვედური მიიღო ბოქაულისაგან იმიტომ, რომ გაბედა ლეკურის თამაში...

**

ბ. მენშიკოვის აზრით, მთელი რუსეთის სახელმწიფო აყვავდება, თუ მეტი სასტიკობა იქნება შემოღებული ყველგან. მაშინ, რასაკვირველია, ქართველების ბედიც სხვანაირად დატრიალდებოდა: უკვე არავინ შეგვაწუხებდა არც ხორციელად, არც სულიერად, არც ეროვნულად, არც სოციალურად, არც ეკონომიურად!..

მაშინ არ აგვიწერდნენ სოფლის სურათს ამ გვარად: პატარა ქოხი, დამპალ, ხავსიან ყავრით დახურული, სადაც ჩამოდის წვიმა, ტბა დგება ქოხში. სიცივისაგან აძაგძაგებს საცოდავ ოჯახობას; აგერ გლეხის ბავშვები თმა გაბურძგნული, მარტო პერანგის ამარა, ფეხშიშველა ატარებენ თავის სიცოცხლეს თოვლსა და სიცივეში; შიმშილისაგან დაწიოკებული ბევრი გაურბის სოფელს და გადადიან ერთიდან მეორე ალაგას ბედის საძებნელად, ხოლო სოფელშივე მოჯამაგირეობს, ზოგი დღიურად მუშაობს და ამ გვარად თავის უპირველეს მოთხოვნილებას ძლივს აკმაყოფილებს.

მაშინ არ მოგვწერდენ: ჩვენს სოფელში შიმშილობაა, მაგრამ არავისა სჯერა, ალბად, მინამდე შიმშილით არავინ მოკვდება და „დოხტური“ არ შეამოწმებს. ჯერ-ჯერობით სამს შეუწუხდა შიმშილით გული, მაგრამ, როგორც იყო, გააძლეს და მოასულიერეს. ერთი მათგანი ყოფილა გზის გასაკეთებლად გაყვანილი ბეგრის მუშა, მეორე თორმეტ—ცამეტის წლის მწყემსი, რომელიც თურმე ორი დღის მშიერი ყოფილიყო; შიმშილისაგან გული შეღონებოდა, მოგროვილიყვნენ მწყემსები, მაგრამ ყველანი ნახევრად მშიერები ყოფილიყვნენ და იმოდენა პური არც ერთს მათგანს არ აღმოაჩნდა, რომ შეწუხებული მწყემსი მოებრუნებინათ; ბოლოს როგორც იყო, შორი-ახლო მყოფს ბიჭს უპოვეს პურის ნატეხი და სთხოვეს, მაგრამ იმანაც უარი უთხრა, მეც ნახევრად მშიერი ვარ, ცოტ-ცოტაობით ვიზოგავდი ამ პურს, რომ მეც მაგ ყოფაში არ ჩავარდნილვიყავო. მწყემსებმა ძალით წაართვეს პურის ნატეხი. მესამე შემთხვევაც—შიმშილით გული შეწუხებია მცლოვინე დედაკაცს...

მაშინ სოფლის მამასახლისები არ იქმნებოდნენ ისეც გალატაკებულ სოფლელების მძარცველები და მჭამლები; სოფლის მოსამართლენი არ იქმნებოდნენ უსამართლობის მქადაგებელნი და არ გამოაცხადებდნენ საქვეყნოდ: 1) სამართალი სასოფლო სასამართლოში ყველასათვის თანასწორი და მიუდგომელია და მისი მოპოვება შეიძლება „მეტის პატივისცემითა ჩვენითა“, ამისათვის მიიღება ყველა მომჩივანთაგან სხვა-და-სხვა ხონჯი მსუქან დედლებითა და კარგი მაგარის ღვინით, რითაც ცოტა შეხურების შემდეგ კარგად ირჩევა „კალონი“; 2) მიიღება პატივისცემა ფულით საქმის-და გვარად. რამდენად მეტად „მაგარია საქმე“, იმდენად მეტი უნდა იქმნეს „ჯამი გამორჩენისა“ და, პირიქით, ვინც ზემო აღნიშნულს არ აასრულებს, ის „კლიაუზნი“ კაცია, „კალონის“ წინააღმდეგი და სამართლის მაგიერ ელის სასჯელი „კალონის“ ძალით...

მაშინ კიდევ ბევრი სხვა რამ არ აქმნებოდა, რადგანაც მთელს ჩვენს ქვეყანაში ჩამოვარდებოდა ისეთი მყუდროება და მშვიდობიანობა, რომელსაც ეტრფიალებიან გრინგმუტისთანა, მეშჩერსკისთანა და მენშიკოვისთანა დარაჯები, სიკვდილის და მონობის წინამორბედნი...

მაგრამ ღმერთმა განუსვენოს მათ! დღენი დათვლილია. იმდენად მეტს ჰყვირიან ისინი, რამდენად უფრო მოახლოვდა მათი აღსასრულის დღე. იმდენად უფრო ხშირად [illegible], რამდენად უფრო უმოკლდებათ დღე, იმდენად უფრო და უფრო გვაქადაგებენ სიკვდილს, რამდენად უფრო უახლოვდებიან თვითონ სიკვდილს...

სიტყვა.

გება პირველად იმ ქუჩების მოკირწვლას, რომელზედაც ელექტრონის ტრამვაი გაჰყავთ. რაც შეეხება ქუჩების შეკეთების საქმეს, ამ ჟამად უკვე იკირწლება გაფუჭებული ქუჩებიო.

◆ ამ დღეებში მომხდარ საეპარქიო **სამრევლო სკოლების მეთვალყურეთა კრებას** მომეტებული დრო მოუნდომებია რუსული ენის სახელმძღვანელოს ამორჩევისათვის. კრება უმთავრესად ამ აზრით მომხდარა. როგორც მოხსენებული გვქონდა, აურჩევია კიდეც სახელმძღვანელო ერთ-კლასიან სამრევლო სკოლებისათვის.

◆ პარასკევს, საღამოთი, ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებს კერძო მოლაპარაკება ჰქონდათ ქალაქის **ხორცის დუქნების** შესახებ. უმცირესობა წინააღმდეგი იყო 25 ათას მანეთის გადადებისა დუქნების საწარმოვო თანხის გასაძლიერებლად ამათ განაცხადეს, დუქნებისაგან ზარალის მეტი არა არის რა და უმჯობესი იქნება სულ დავკეტოთო. უმრავლესობა კი დუქნების ცუდ მდგომარეობის მიზეზად ასახელებდა ცხოვრების ეხლანდელ პირობებს და რადგან შესაძლებელია გარემოება მალე შეიცვალოს, თანახმანი იყვნენ ფულის გადადებისა. კრება ვერავითარ გამორკვეულს აზრს ვერ დაადგა.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ უკანვე მიიღო ის ექსპონატები, რომელიც ამერიკის **მსოფლიო გამოფენაზე** უნდა გაგზავნილიყო. კავკასიის ექსპონატების ერთი ნაწილი კავკასიის მუზეუმს გადაეცემა, ერთი ნაწილი—სამეურნეო საზოგადოებას და დანარჩენი პატრონებს დაუბრუნდებათ.

◆ ახნაზაროვის მემკვიდრენი თანახმანი გამხდარან, 55,000 მანეთად დაუთმონ ქალაქს ადგილი **მუხრანის ხიდისათვის**, იმ პირობით-კი, რომ ფული 7 ივლისამდე ჩააბარონ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს საბჭოს ამა წლის დამატებით ხარჯთაღრიცხვაში შეტანილ იქნას 58,000 მანეთი: 55,000 მან. ადგილისათვის და 3000 მან. ადგილის დასამტკიცებლად.

◆ **საქართველოს ექსარხოსს** სიღნაღის მაზრიდან ამ თვის 12-ს მოელიან.

◆ დაბა ლაილაშში (ლეჩხუმი) ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს **გაუქურდავთ ადგილობრივი წმ. გიორგის ეკკლესია;** წაუღიათ ნივთები და 25 მანეთი ფულად.

◆ **ყოვლად სამღვდელო კირიონი**, რომელიც ხერსონის სავიკარო ეპისკოპოსად იყო, უწმინდესი სინოდის განკარგულებით გადაყვანილ იქმნა დამოუკიდებელ კათედრაზე, ორლოვისა და სევის ეპისკოპოსად.

◆ ტფილისში ჩამოვიდა იურიევისა და ხარკოვის საბეითალო ინსტიტუტის 30 **სტუდენტი**, რომელთაც სამუშაოდ კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას ჰგზავნიან ამ ზაფხულს.

◆ სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ კნ. მ. თუმანოვისამ გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ამა წლის ენკენისთვიდან ტფილისში აბასაბადის მოედანზე **იაფ-ფასიან და უფასო სასადილოს** გამართვის შესახებ ორისავე სქესის ბავშვთათვის.

◆ მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა, გორში **მტკვარზე ახალი ხიდი** გაიყვანოს. ახალ ხიდს გამართავენ ძველ ხიდს ქვემოდ.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა გადასცა ქალაქის გამგეობას ბრანდმეისტერის შუამდგომლობა ცეცხლის მქრობელ რაზმის **მოსამსახურეთა დამზღვევის** შესახებ.

◆ როგორც სიღნაღის მაზრიდან გვატყობინებენ, საპოლიციო დარაჯთა რაზმს **მოუკლავს ყაჩაღი** ულუხანა. იმის ამხანაგებს თავისთვის უშველნიათ.

◆ ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგიდან **აკადემიკოსი ნოვოსკოლცევი**, რომელსაც მინდობილი აქვს ბათუმის ახლად აგებულ საკრებულო ტაძრის **კედლების დახატვა**.

◆ რედაქციამ მიიღო მეორე წიგნი **საყმაწვილო სურათებიან კრებულის** „მერცხალი“-სა. ეს წიგნი ისევე კარგადა და შინაარსიანად არის შედგენილი, როგორც პირველი. შინაარსი ამ კრებულისა:

1) ელას დედოფალა ლექსი აკაკისა.—1) იჰ, რა გემრიელია! (სურათი).—3) წყლის ქაჯი და მარგალიტი (იგავი ლ. ტოლსტოისა).—4) ღორის გამჭრიახობა ტასოსი.—5) შურმა უყო გ. წყალტუბელისა.—6) მარო (აზრი პოლონურიდან) ა. ყუმისთაველისა.—7) თივის ღერი, ნაკვერცხალი და ცერცვი (გრიმის ზღაპარი) ტასოსი.—8) ქალი—ფუტკარი (თარგმანი) ვ. მიქაბერიძისა.—9) პაპა და შვილისშვილი (იოვანოვიჩიდან) ქოჩოსი.—10) დაჩეხილი (ფრანგულიდან) გ. შატბერაშვილისა.—11) ამომავალი მზის ქვეყანა ათაბეგისა.—12) მერცხლები (თარგმანი თამარ ამირაჯიბისა.—13) ეკო (ოვიდიუსი) ა. ყუმისთაველისა.—14) წვრილმანი: სახუმარო კითხვები, ანდაზები და შარადა.

◆ როგორც ახალციხის მაზრიდან გვატყობინებენ, 3 მაისს სოფ. იდუმლინის საზოგადოების მამასახლისი შაკა-ოღლი ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს მოუკლავთ. მკვლელნი ვერ უპოვნიათ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას დავა ჰქონდა ტფილისის მცხოვრებ ჩხეიძესთან ადგილის გამო. გამგეობამ მოიგო ეს საქმე. 7 მაის გამგეობამ დაადგინა, ერთი თვის ვადა მისცეს ჩხეიძეს ქალაქის ადგილზე დასაცლელად. ჩხეიძეს ქალაქის ადგილზე 2 სართულიანი სახლი ჰქონია.

◆ ტფილისის მეპურეთა მამასახლისმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას პურის ნიხრი ასეთი დაწესდეს: 1 ხარისხისა გირვანქა 5 კ., მეორისა 4 კაპ., მესამისა 3 კაპ.

◆ ბორჩალოს მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა აპრილის მეორე ნახევარში: მდინარე ხრამში დამხრჩვალან სოფ. ყუილარის მცხოვრებნი სინა იბრაგიმ-კიზი პატარა ყმაწვილით და ერთი სხვა ქალით ერთად, როდესაც წყალში მინავალან; 2. სოფ. შულავრის მცხოვრებს მამედ-ისმაილ-ოღლის მოსტაცეს 18 წლის ქალი გიულასარი; 3 სოფ. კიზილ-კილისის მცხოვრებს უსუფ ასათ-ოღლის და ალავერდი მანსურ-ოღლის ჩხუბის დროს მძიმედ დაუჭრიათ ხანჯლით ერთმანერთი; დაჭრილთაგანი პირველი უკვე გარდაცვლილა; 4 შილიდაგთან სოფ. ფახრალოს მეცხვარეებს მურად-მაჰმედ-ოღლის და აბას-მუსტაფ-ოღლის ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც პირველს თოფით მოუკლავს მეორე, 5. ლოქის ტყეში სოფ. ვარანცოვკის მცხოვრებს ი. სემილეტოვს თოფით მძიმედ დაუჭრია ს ჯანდარის მცხოვრები ასკერ-ალი-ოღლი, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გარდაცვლილა.

—

დღევანდელ №-თან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ სურათებიან დამატების № 217, რომელშიაც მოთავსებულია: სამი იაპონური ზღაპარი; სურათები: „არ მომელოდით“ რეპინისა; გენერალ ხარკევიჩი და სხვა.

რუსეთის ქრონიკა

◆ ყუბანის ოლქის სტანიცა ლაბინსკიდან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „რუსსკ. ვედ.“-ს, რომ ეკატერინოდარის ოლქის სასამართლომ გაარჩია ლაბინსკაში 28 და 29 აპრილს საქმე ბზაგეოსოვისა და სხვების შესახებ (რიცხვით 22 კაცი), რომელთაც ჰბრალდებოდათ უწესოების მოხდენა ქ. არმავირში სომეხთა საეკკლესიო ქონების ჩაბარების დროს. ბზაგეოსოვს, რომელსაც ჰბრალდებოდა ზარის რეკით ხალხის წაქეზება, 10 დღით დაპატიმრება მიუსაჯეს, დანარჩენნი გაამართლეს. ბრალდებულთა დამცველებად იყვნენ: ბახჩისარაივცევი და შირსკი (ეკატერინოდარელი ვექილები), ბალუგიანი და ლუნინი (არმავირელები) და კანდიდატი სკალსკი.

◆ ჩვენს გაზეთში მოთხრობილი გვქონდა, თუ რა უბედურება ასცდა ქ. კრონშტადტს, სადაც ამას წინად ასაფეთქებელ მასალის საწყობთან ბლომად დაყრილ ნაფოტებს ცეცხლი მოეკიდა. ამ საქმის შესახებ გაზ. „გრაჟდანინ“-ის თანამშრომელი იქსი სწერს: „როცა კრონშტადტში ახალ დანიშნულმა ნავთსადგურის უფროსმა დაწვრილებით დაათვალიერა ქალაქი, ისეთ რამეებს წააწყდა, რომ გაოცებული დარჩა. თოფის წამლისა და ასაფეთქებელ მასალის საწყობების ირგვლივ ხის შენობები იყო აგებული და იქვე ბლომათ ეყარა ნაფოტები. ცხადი იყო, რომ ძველის დროიდან არავის ყურადღება არ მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ ერთი ნაპერწკალი იყო საკმარისი ამ საწყობისა და მთელი ქალაქის გასანადგურებლადაო“.

◆ ელისავეტგრადის მომრიგებელ სასამართლოში ერთი საყურადღებო საქმე გაურჩევიათ. ადგილობრივ გაზეთის დამტარებელს ბელიზნას ჰბრალდებოდა, რომ იმან ტუსაღებს მისცა გაზეთი წასაკითხად. საქმე ასე ყოფილა: ბელიზნა ქუჩაში შეხვედრია ტუსაღებს, რომლებიც სატუსაღოში მიჰყავდათ. ერთმა მათგანმა მიმართა ბელიზნას და გაზეთი სთხოვა. ისეთნაირად მთხოვაო, სთქვა ბელიზნამ საქმის გარჩევის დროს, რომ გული ამიჩუყა და გაზეთი გადავუგდეო. შემდეგ დავინახე, რომ მან გადაათვალიერა გაზეთი და თავის ამხანაგებს გადასცაო. მომრიგებელმა მოსამართლემ ერთი მან. ჯარიმა მიუსაჯა ბელიზნას.

იურიდიული საზოგადოება და ჩვენი იურისტები

ტფილისში კარგა ხანია, რაც არსებობს კავკასიის იურიდიული საზოგადოება, რომელსაც ვრცელი პროგრამმა აქვს ბევრის რამ საყურადღებო მუხლებითა. სხვათა შორის, პროგრამმა შეეხება ადგილობრივ ადათების და ხალხის იურიდიულ ჩვეულებათა გამორკვევას და შესწავლას. დღევანდლამდე მოხსენებულ საზოგადოებაში უმეტეს ნაწილად რეფერატები შეეხება საზოგადო სჯულდების*) რომელსამე მხარეს, რომელსამე დებულების გამორკვევასა, რაიცა ამისთანა საზოგადოების პროგრამმის კუთვნილებაა და მსჯელობა ამისთანა საგანზე საზოგადოების წევრთათვის კარგი დახმარებაა, თუ რეფერანტი და მობაასენი მომატებულად მომზადებულნი არიან არჩეულ საგნის გამორკვევისათვის. სამწუხაროდ, ძალიან იშვიათად ხდება ამ საზოგადოებაში ისეთი საგნის არჩევა, კარგის მომზადებით გარჩევა და გამოკვლევა, რომ მომატებული სიცოცხლე ეტყობოდეს. საზოგადოდ დუნედ, მძინარედ მიდის მისი მუშაობა და არ ეტყობა აზრის მოძრაობა, ახალის სულის ქროლა, ცოცხალი ნაკადული მეცნიერების საფუძველზე დამყარებული და ამოღებული სიცოცხლით მდიდარ ცხოვრების ნიადაგიდან.

უცნაური ამბავია სწორედ. ამ საზოგადოების წევრნი იურისტები არიან, რომელთაც მაღალი სწავლა მიუღიათ, უმეტეს ნაწილად წევრნი სასამართლოებისა, ნაფიცი ვექილები, მომრიგებელი მოსამართლეები, პროკურორები, ერთის სიტყვით ვინც-კი სამართლის საქმის ახლოსა დგანან და კარგა უნდა ეინტერესებოდესთ მათი ხელობის საქმე. შეიძლება ამაზე გვიპასუხონ, რომ სამსახურის მუშაობა იმდენ დროს თხოულობს მათგან, რომ განსაკუთრებულ საგნის აღებისა და გამორკვევისათვის ველარ მოუცლიათო, ესე იგი გვიპასუხებენ, თითქოს ყველანი ხელოსნებად გადაქცეულიყვნენ და სხვა უნარი შემოქმედებითის ხასიათისა აღარ მოეპოვებოდეთ.

ეს ძნელი დასაჯერებელია, რომ ამოდენა რიცხვში არ მოიპოვებოდნენ მოაზრე, მომუშავე იურისტები და აკი კიდეც ვხედავთ ამ ჩინოვნიკ ან ვექილ იურისტებში თითოოროლა მომუშავეს. მომეტებული მათგანი რუსები არიან, შორიდან მოსულები ან თითო ორიოდე ხან-და-ხან სომხებიც.

მაგრამ აი საკვირველი რამ. ამ საზოგადოებაში ჰქანება არ არის ქართველ იურისტებისა. არ ვიცით იპოვებიან ამ საზოგადოებაში ქართველი წევრები თუ არა და, თუ არიან, არ სჩანან, რადგან მათი არც რეფერატი გვესმის, არც მონაწილეობა რომლისამე რეფერატის განსჯის დროს. ვიცით კი, რომ ტფილისში და ქუთაისში ბლომად გახლავან იურისტები სასამართლოს წევრებშიაც, ნაფიც ვექილებშიაც და მათ თანაშემწეთა შორისაც.

მაგრამ რა ეს, რომ მოიპოვებიან ქართველი იურისტები, მაღალი სწავლის მქონენი, ისიც ვიცით, რომ მათში მწერლებიც კი არიან, ჟურნალ-გაზეთებში მონაწილენი. რასაკვირველია, ეს საყვედურის ღირსი არ არის, მწერლობაში მონაწილეობა პატივსაცემია. მაგრამ რა დააშავა იმ დარგმა მწერლობისამ, რომელიც სამართლის და სჯულის საქმეს შეეხება. განა ფელეტონების წერა უფრო ნაყოფიერია, ხალხის იურიდიულ ჩვეულების შეკრებაზე.

ჭეშმარიტად დასაღონი საქმეა. ორმოცი წელიწადია მომეტებული ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა იურიულ ფაკულტეტზე ასრულებს კურსსა და ამოდენა სიმრავლისაგან ორიოდეს თუ რამე გაუკეთებია საქართველოს სჯულის ან ადათების მასალის შესახებ ყოველი მათგანი კი, სიტყვა რომ ჩამოვარდეს, გრძელ ლაპარაკს გააბამს და უარს ვერ იტყვის, მასალის შეკრება საფუძველს მისცემს სჯულის მდებელს მიიღოს მხედველობაში, რაც ხალხის ცხოვრებას შეუმუშავებია და საფუძვლად დასდებია მის ურთიერთობას ოჯახობაში, საზოგადოებაში და საკუთრების მოხმარებაშიო. მაგრამ ეს ლაპარაკი ლაპარაკია, მუშაობა კი არა სჩანს, მასალას თავი მოუყაროს და ერთს რომელსამე დარგზე თავისი წვლილი შეამუშავოს თავის არჩეულ მეცნიერების კუთხეში.

ჩვენ როდი ვიტყვით, რომ მაქსიმ კოვალევსკის „ადათების“ მსგავსი რამ შეეძლოთ ჩვენს იურისტებს. მისი ფართე ერუდიცია, ნიჭი და სხვა მისებური ჯერ შორს არის ჩვენის იურისტებისაგან. მაგრამ ხომ არის შემუშავებული პროგრამმები ხალხის იურიდიულ ადათების შეკრებისათვის. ასეთის პროგრამმებით რომ შეიკრიბოს მასალები, ესეც კარგი საქმე იქნება.

საქართველოს ნაწილების ბუნებითმა ფერმრავლობამ შექმნა ფერმრავლობა სხვა-და სხვა კუთხეების ადათებისა ოჯახობაში, საკუთრების მოხმარებაში, უფლებაში, გადასვლა-გადმოსვლაში; ხომ საინტერესოა კახეთისა ჰგავს თუ არა რაჭისას, რაჭისა გურულისას, გურულისა ქართლისას, ან მთიულისას და სხვა-და-სხვა.

ამ შეკრებილ მასალაზე რეფერატი ჩვენის იურისტებისაგან იურიდიულ საზოგადოებაში ბევრს დასაკვირვებელ, გასარკვევ და ასახსნელ აზრს შეიტანდა, გამოაცოცხლებდა საზოგადოების მსჯელობას, თვალს აუხელდა მრავალ უცნობ და ბუნდოვან ფაქტზე და ამით ჯერ თვით საგანი გამოირკვევოდა, მერმე შეაჩვევდა საზოგადოების წევრებს დაკვირვების და გამორკვევის უნარსა და თვით რეფერანტს შესძენდა გამოცდილებას უკეთესის შრომისათვის, დაწინაურებისათვის და კვალს დასტოვებდა მისის შრომისა და ნიჭისას.

დიახ, ბატონო ქართველო იურისტებო, არა კმარა სამსახურის მოვალეობა, არა კმარა მოსარჩლეობა—ადვოკატობა, არა კმარა შთაბეჭდილებათა ფელეტონები, წერა რაგინდარაზე, იმუშავეთ იმ დარგზე, რომლისთვისაც მომზადებულხართ, გისწავლიათ და გიმუშავნიათ, გაისარჯეთ, შემოქმედებითი თქვენი ღვაწლი შეიტანეთ იმ სფერაში, რომელიც ამოგირჩევიათ, და ნაყოფი გვაჩვენეთ თქვენის შრომისა, ნიჭისა და მომზადებისა.

სასიამოვნო ამბავი გვესმის, რომ ზოგიერთი შორიდან მოსული წევრი იურიდიულ საზოგადოების გამოცოცხლებას ცდილობენო, სურვილი აქვთო. ფრიად სასიამოვნოა ეს განზრახვა და აი ამისთანა სურვილის დროს ჩვენებურ ქართველ და სომეხ იურისტებს ბევრი კარგი დახმარება შეუძლიათ გამოცოცხლებისათვის; თუ მართლა შრომა შეუძლიათ, განა იმედი უნდა დავკარგოთ, რომ რამდენიმე კაცი არ გამოჩნდება ქართველ იურისტებში ამ საგნის შეგნება შეიძლოს და შეგნებასთან შრომაც დასდოს?

უნებურად გვაგონდება იურისტი სტუდენტებიც. ნეტა სტუდენტებში მაინც მოიპოვებიან მომავალ შრომის სამზადისში, თუ ისინიც წინაპართა უნაყოფო გზაზე, არარაობის გზაზე აპირებენ სიარულს?

პეტრე უმიკაშვილი

---

*) ვხმარობ სიტყვას ЗАКОНЪ—სჯული და არა კანონი. კანონი—საეკლესიო სჯულია, რომელიც შეცდომით იხმარება.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 მაისი.

მუკდენი. 7 მაისი. (საკუთ. კორესპ.). ცნობებია მოსული, რომ ჯავშნიანი გემი „ხატცუსე წყლის-ქვეშ მავალმა ნავმა დააზიანა და იმ წამსვე ჩაიძირაო; მეორე ჯავშნიანი გემი „ფუჯის“ ტიპისა წავიდა ძლიერ დაზიანებული აფეთქებულ ნაღმისაგან. კრეისერი „იოშინო“-კი დაეჯახა კრეისერ „კასუგა“-ს და იმიტომ ჩაიძირა.

ირკუტსკი. გზათა მინისტრი ხილკოვი დღეს წავიდა მანჯურიაში.

ნიუ-ჩუანი („რეიტ. სააგ.“). რუსების საალყო ზარბაზნები, რომელნიც აქედან წაიღეს, სიმაგრეზეა დადგმული.

ხაიჩენი. რუსები ირწმუნებიან, რამდენისამე დღის შემდეგ აქ სამი ათასი ჯარისკაცი მოვაო. რკინის გზის პირას ტელეგრაფის მავთული თითქმის ყველგან გასწყვიტეს; აქედან პორტ-არტურამდე სამხედრო ტელეგრაფი კიდევ მოქმედებს, მაგრამ იაპონელები დეპეშებს იჭერენ.—**ხელმწიფე** იმპერატორის დაბადების დღე აქ დიდის ამბით იდღესასწაულეს.

ტიანძინი. („რეიტერის სააგენტო“). უკანასკნელ დღეებში ცნობა მოვიდა, იაპონიის პირველი არმიის ერთი დივიზია ხაიჩენისაკენ მიდის, მეორე ლიაოიანისაკენ. ჰფიქრობენ, რომ რუსებმა თავიანთ ჯარს ერთად მოუყარეს თავი, ლიაოიანის სამხრეთით იაპონელებს დაეცნენ და დიდის ზარალით უკან დაახევინესო.

მუკდენი („რეიტ. სააგენტო“). იაპონიის რაზმი მუკდენზე მიდის. აშკარადა სჩანს ამ რაზმის განზრახვა: იაპონელებს უნდათ გზა გადუჭრან რუსებს. ჰფიქრობენ, ამ ცოტა ხანში თვალსაჩინო ბრძოლა მოხდება. როგორცა სჩანს, იაპონელები აღმოსავლეთიდან მიდიან ლიაოიანზე. რუსებს საქმეს ის გარემოება უჭირებს, რომ არ იციან იაპონელების შესევის მიმართულება. იაპონელებმა რომ თავიანთი პლანები გამოაქვეყნონ, რუსებს ელოდინებათ, სად როგორი წინააღმდეგობა გაუწიონ.

ნიუ ჩუანი. („რეიტ. საგ.“). რუსებმა მოხერხებულად მოუარეს იაპონიის იმ ჯარს, რომელიც ლიაოიანს აღმოსავლეთით მიუახლოვდა. ამის გამო იაპონელებმა ფინხუაჩენისაკენ დაიწიეს.

ჩიფუ. „დეილი ნიუს“-ს ატყობინებენ: 7 მაისს დილის $10^{1}/_{2}$ საათზე პორტ-არტურიდან აფეთქების ხმა მოისმაო.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). მომზადებას რომ დაასრულებენ, იაპონელები ეცდებიან პორტ-არტურზე იერიშის მიტანას. ალყის შესაკრავად დანიშნულ ჯარებს იერიშის მი-

სატანად ამზადებენ. იაპონიის მთავრობას ვერ წარმოუდგენია, რომ რუსეთს შეუძლია ბალტიის ესკადრა გაგზავნოს პორტ-არტურისაკენ. იციან, რომ იერიშის მიტანა ძალიან ძვირად დაუჯდებათ, მაგრამ წინ-და-წინ უნდა ციხე დაანგრიონ და ამნაირად აიცდინონ ტყუილ-უბრალოდ ჯარის კაცების დაკარგვა. ჩაწყობილი ნაღმები მუდმივი მრისხანე გაფრთხილებაა, რომელიც გმირულ მოქმედებას მოითხოვს.

ტიანძინი („რეიტ. სააგ."). მცოდნე წრეებიდან გავრცელებულ ხმებით იაპონელთა პირველი არმია სერიოზულად დამარცხდა და ფინხუანჩენისაკენ დაიწია.

ორიოლი. წავიდა მოსკოვში გუბერნიის ერობის სასანიტარო რაზმი, რომელსაც შორეულ-აღმოსავლეთში ჰგზავნიან.

8 მაისი

პოლტავა. პოლტავის გუბერნატორმა თავადმა ურუსოვმა საიმპერატორო კარის მინისტრისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და გიბრძანათ გადასცეთ ქალაქის მცხოვრებთ, აგრეთვე ვოლოსტის მამასახლისებთან მოსულ გლეხებს, იმისი გულწრფელი მადლობა კარგი დახვედრისა და მის უდიდებულესობის პოლტავაში ყოფნის დროს წეს-რიგის დაცვისათვის. ნაბრძანებია კადეტები და მოსწავლენი სამის დღით დაითხოვოთ."

პეტერბურგი. 1 მაისს ფინანსთა მინისტრს უმაღლესად ებრძანა: 1. პრიამურის საგენერალ-გუბერნატოროში უბაჟოდ უნდა შემოიტანონ ის საქონელი, რომელიც მდ. ამურის შესართავს ახლო და იმის სამხრეთით მდებარე სადარაჯო ადგილებსა და მანჯურიის საზღვარზე გადმოაქვთ; მაგრამ ის საქონელი კი, რომელზედაც იმპერიაში ბაჟს იღებენ, არ უნდა განთავისუფლდეს ბაჟისაგან; 2. პრიამურის საგენერალ-გუბერნატოროში შეტანილ რუსის ბამბის საქონელში გამორთმეული ბაჟი უკან დაუბრუნდესთ საქონლის პატრონთ; 3. პირველსა და მე-2 მუხლში მოხსენებული დადგენილება ამ ბრძანების გამოცხადების დღიდან შევიდეს ძალაში და კანოთა კრებულში დაიბეჭდოს.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). მთავრობის წრეები ამბობენ, რომ გახიზნულთა ოსმალეთში დაბრუნება ნებაყოფილობითა ჰხდებაო. ამისდა მიუხედავად მაკედონელთა კომიტეტები უკმაყოფილონი არიან პოლიციისა და ეხლა-ხან გამართულს მიტინგზე პროტესტი გამოსთქვეს იმ ძალ-დატანების გამო, რომელსაც პოლიცია სწევს გახიზნულთა მიმართ. შემდეგ გაჰკიცხეს მთავრობა ამის გამო, რომ იმან ოსმალეთ ბოლგარიის ხელშეკრულების დადებით გახიზნულთ მოუსპო ის გარანტია, რომელიც მიურცშტეგის პროგრამის მე-6 §-მა მიანიჭა. გაზეთები სწერენ, რომ ოსმალეთში დაბრუნებულ გახიზნულთ შიმშილი მოელით, რადგან შემწეობას არავინ უწევთ. გახიზნულნი უკანვე ბოლგარიაში ბრუნდებიან.

8 მაისი.

უფა. დღეს ჩაჰყარეს საძირკველი სამლოცველოსი, რომელსაც აგებენ იმ ადგილას, სადაც მოკლულ იქნა გუბერნატორი ბოგდანოვიჩი.

კიევი. დღეს სოფელ ბოგოიავლენსკში დაასაფლავეს ვარსკვლავთ-მრიცხველი აკადემიკოსი ბრედიხინი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდით მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—5) პატივისცემით **ბ. გ. ბერიევი.**

„ცოდნა" ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის" მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა.** ფასი თითო 5 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

(50—18). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

სამკურნალო ვანები და წყალსასხური

წყალსასხური ცხელი და ცივი. ტემპერატურა ყოველნაირი და 4 ატმოსფერის სიმძიმემდე. **წყლის სხურება შოტლანდიური, შარკოსებური** და სხვა გვარი. სავსე ვანები, ნახევარ ვანები; ვანები ჩასაჯდომი და ფეხთათვის საცურველ გრადუსისა. ჰაერ გაძომრალი და **ორთქლის ვანები** სხვა-და-სხვა ექსტრაქტებისაგან. წყლის გადავლება, დასველება და შეხვევა გერმანიაში ცნობილ ჰიდრაპატის **კნეიპისა** და სხვათა სისტემისამებრ.

ეს სისტემა მე შევისწავლე თვით კნეიპისაგან და მოწმობაც მაქვს იმისაგან მიღებული. ვანები და სხურება არჩენს **ძარღვს, მოშლილ ნერვებს, ძვლებს, მუცლის შეკვრას, სისუსტეს, თავის ტკივილებს** და სხვას. მოწყობილება საუკეთესოა და თვალ-ყურსაც თვითონ ვადევნებ. მოთავსებულია სახაზინო პალატის გვერდით; შესავალი ხაზინის ქუჩიდან. **გ. ე. ცოვიანოვი.** (10—164—7)

ვერმორელის პულვერიზატორების

ფაბრიკისაგან ვილფრანშში (საფრანგეთშია).

ბოლო ხანებში ბაზარზე გაჩნდა ბევრი პულვერიზატორი, რომელიც გარეგანად ძალიან წააგავს ჩ მიერ გამოგონილსა და ყველასაგან ცნობილ მრავალ წლობით გამოცდილ პულვერიზატორებს სახელწოდ ბით "ECLAIR". ამის გამო ვაცხადებ, რომ ნამდვილს, ჩემს ფაბრიკაში მომზადებულს, პულვერიზატო „ეკლერ"-ს შემდეგი წარწერები აქვს ფრანგულად: ზერვუარს ECLAIR VERMOREL (იხ. სურ. № 1 და აპარატ-ში—VERMOREL VILLE-FRANCHE (Rhone) Bté S. G. D. G. (იხ. სურ. № 2), ხოლო სახურავზე, როგორც მე-3 სურათზეა ნაჩვენები, წარწერილია VERMOREL Bté S. G. D. G.



სურათი № 1



სურათი № 2

ყველა აპარატები, რომელნიც ჩემსას წა ვენ, მაგრამ ნაჩვენები წარწერები არა თ, ყალბებია.

მთელს რუსეთში ერთად ერთი ჩემი წარმომადგენელი არის **მ. ე. ფრიდონოვი.** მისი ადრესი: ტფილისი, სერგიევსკი ქუჩა, № 11. (10—9)

სურ. № 3

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000); ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;
2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევს საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;
3) უსათუოდ უცილობლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.
4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;
5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.
6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;
7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;
8) პრემიების სიიაფეს;
9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;
10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;
11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;
12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონ ათ; სესხი გაიცემა 6%-ით;
13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;
14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის დადასხდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისში, გოლოვინის პრ., ოქოევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—9)



ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელერ"-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—5.—20)



ევალდ იანკოვსკ

კაფელის ფეჩები, ღუ მელები.

სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედლე სათვის ფასები 25 მანეთიდან

გამართვა აგურის ფეჩე ბისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.

(30—6) **ტელეფონი № 281.**



СѢДЕЛЬН

СПЕЦІЯЛЬН

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдл

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სოპრანის ახლოს. (წ.—176—13)

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხ.-სამკ. აკადემ. პრივ.-დოც. პ. თ. ფედ სა, თარგმ. კბილის ექ. ი. პ. ახალშენიშვილ **ისყიდება:** „ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ." და „წიგნ. მომც. ქართ. ამხ." წიგნის მაღაზიასა და კიოსკში და მთარგმნელთან (ელისაბედის ქ., № 38). ვინც ნაღდ ფულად 100 ცალზე არა ნაკლებს დაიბარებს, 40% დაეთმობა. წიგნაკს დართული აქვს 7 ნახატი (ორ ფერადი), შეიცავს 124 გვ. და ღირს 40 კაპ.

(0—5.—8)

Доз. ценз. Тифлисъ 8 Мая 1904 г. ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ.—ის). (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).